ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 28 აპრილი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაზე“ უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: თ. გელანტია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა მიმართა მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს (ზ. ბუკია), 20,0 ათასი ლარი, რომელი მინი სტადიონისთვის ემატება ბიუჯეტში, ეს გურიფულის მინი სტადიონი ხომ არ იყო, თავიდან 105,0 ათასი რომ იყო გათვალისწინებული?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ დიახ, იმ მინი სტადიონზე იყო საუბარი, ინფლაციიდან გამომდინარე მოხდა პროექტის გადაფასება და დაემატება აღნიშნული თანხა, რის შემდგომაც გავა ტენდერზე

კითხვა-პასუხის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში „გრანტებიდან“ (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად) იზრდება შემოსავლები 74890,80 ლარით და მიემართება ქვეპროგრამის ,,საჯარო სკოლების დაფინანსება“ ასიგნებაზე. ადგილობრივ ბიუჯეტში იზრდება შემოსავლები 222,6 ათასი

ლარით „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და მიემართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ასიგნებაზე. ასევე იზრდება შემოსავლები 784 ათასი ლარით „გრანტებიდან“ (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) და მიემართება პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ პროგრამის „სოფლის მხარდაჭერა პროგრამის“ ასიგნებაზე. მცირდება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები 20,0 ათასი ლარით, კერძოდ: პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებები. გამოთავისუფლებული 20,0 ათასი ლარი მიიმართება პრიორიტეტის ,,მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებებზე. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა გაიზარდა 1081,6 ათასი ლარით და შეადგინა 14346,6 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულება პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გელანტია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N7 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაზე“ უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: მ. რუხაძე - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: მ. რუხაძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებაზე" უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების პრობლემასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უმეტეს სოფლებში გარე განათება არ მუშაობს ან ნათურები არ არის შეცვლილი და მიმართა მერიის აუდიტის სამსახურის უფროსს (ი. ძიძიგური), თუ რა ეტაპზე იყო აუდიტის დასკვნა, შპს „ხობი დასუფთავება და განათებაში" არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ი. ძიძიგური - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მუშაობენ აღნიშნულთან დაკავშირებით და შესაბამისი დასკვნა, უახლოეს პერიოდში იქნება წარმოდგენილი.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ, შპს „ხობი დასუფთავება და განათების" უფროსი აცხადებს, გარე განათებისთვის გამოყენებული კაბელები იყო უხარისხო და ხშირად ნათურები ერთდროულად ყველა იწვებოდა, თუ ეს მართლა ასე იყო მაშინ რატომ იქნა ჩაბარებული უხარისხოდ შესრულებული პროექტები. მისი თქმით, მოსახლეობიდან გამოთქმული შენიშვნები სამართლიანია, მათ არ აინტერესებთ საიდან არის გამოწვეული პრობლემები, მათ სჭირდებათ განათებული ქუჩები და პრობლემა დროულად უნდა მოგვარდეს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 8 ივნისს ასოციაცია „ატუს" მიერ უსასყიდლოდ გადაეცა ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბავშვო ბაღის უძრავ-მოძრავი ქონება, რომლის ღირებულება შეადგენს 2011862 ლარს, სადაც მატერიალური ფასეულობები შეადგენს 271893,56 ლარს. მუნიციპალიტეტის მერია შემოდის წინადადებით გადმოცემული მოძრავი ქონება

გადაეცეს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანებას“ ძველი ხიბულის საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გელანტია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N11 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. ვლადიმერ ქანთარია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. მერაბ ფილიპია
8. კახა ლატარია
9. თენგიზ აბაკელია
10. დიტო ხასია
11. ირაკლი ნადარაია
12. იგორ გოგოლაძე
13. დავით ცინაძე
14. ავთანდილ ხუნჯუა
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. კობა გოქაძე
18. ნიკოლოზ ვეკუა
19. კოსტანტინე ნასარაია
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. აკაკი ხურცლავა
23. გოჩა ჯობავა
24. რამინ ხილაძე
25. კახა მიქაბერიძე
26. ლაშა ცატავა